სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

26 თებერვალი, 2025 წელი

ბრძანება №01-10/21

ბსუ-ს უსგ ტრენინგ-პროგრამის ,,ადგილობრივი ანესთეზიით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობისა და სხვა გართულებების მართვა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში" სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24 მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/193 ბრძანების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის **მინისტრის 2018 წლის 19 ივლისის N01-3/ნ ბრძანებით დამტკიცებული** ,,უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმები და მათი აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმების (**N1 დანართი**), ბსუ-ს უსგ ტრენინგ-პროგრამის ,,ადგილობრივი ანესთეზიით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობისა და სხვა გართულებების მართვა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში" აკრედიტაციის თაობაზე **პროფესიული განვითარების საბჭოს გადაწყვეტილების** (აკრ. N0926, 14.02.2025წ. N2 სხდომის ოქმით), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოსადმი ბსუ-ს წერილის (20/01/2025, N34872), **პროფესიული განვითარების საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის წერილის** (REG02500211555), ბსუ-ს უწყვეტი სამედიცინო განათლების მოკლევადიანი ტრენინგ-პროგრამის ,,ადგილობრივი ანესთეზიით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობისა და სხვა გართულებების მართვა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში" პერსონალის მოწვევის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 26 თებერვლის N01-04/20 ბრძანების**, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2025 წლის 19 თებერვლის N07-01/06 გადაწყვეტილების**, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორის და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის" **ჯანდაცვის (სტომატოლოგიის) მიმართულების კოორდინატორის, ფრიდონ ჯაფარიძის** 2025 წლის 26 თებერვლის №208202 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) **პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებული** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი სამედიცინო

განათლების (შემდეგში - **უსგ**) **ტრენინგ-პროგრამაზე** „ადგილობრივი ანესთეზიით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობებისა და სხვა გართულებების მართვა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში'' (დასწრებული ფორმა, სულ 2 დღე, 6-6 სატრენინგო საათი) **სწავლის საფასური** განისაზღვროს 1 მსმენელზე - **350 ლარი** (მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში - **არანაკლებ 10 და არაუმეტეს 20).**

2. პროგრამის განმახორციელებელი **პერსონალის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:**

   ა) **ტრენერის შრომის ანაზღაურება** (1 სატრენინგო საათის ჩატარებისათვის) – **14,58 ლარი** (1 მსმენელის სწავლის საფასურიდან (350 ლარიდან);

   ბ) **პროგრამის ხელმძღვანელის/ავტორის შრომის ანაზღაურება** – 1 მსმენელის სწავლის საფასურის (350 ლარის) **15%** (52,5 ლარი);

   გ) **ჯანდაცვის (სტომატოლოგიის) მიმართულების კორდინატორის შრომის ანაზღაურება** – 1 მსმენელის სწავლის საფასურის (350 ლარის) **5 %** (17,50 ლარი);

   დ) **დამხმარე პერსონალის - ასისტენტი (ების)** სასწავლო პროცესის ადმინისტრირების და სამართლებრივი მხარდაჭერა-ასისტირებისათვის - **შრომის ანაზღაურება** – 1 მსმენელის სწავლის საფასურის (350 ლარი) **5 %-5%** (17,50-17,50 ლარი);

3. დამტკიცდეს უსგ მოკლევადიანი საგანმანათლებლო **პროგრამის** ,,ადგილობრივი ანესთეზიით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობისა და სხვა გართულებების მართვა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში" **ხარჯთაღრიცხვა, წინამდებარე ბრძანების N1 დანართის** შესაბამისად.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრს დავით ცეცხლაძეს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე

,,ბსუ-ს უსგ ტრენინგ-პროგრამის ,,ადგილობრივი ანესთეზიით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობისა და სხვა გართულებების მართვა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში“ სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 26 თებერვლის N01-10/21 ბრძანების N1 დანართი

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის
<u>უწყვეტი სამედიცინო განათლების</u> მოკლევადიანი პროგრამის
,,ადგილობრივი ანესთეზიით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობისა და სხვა გართულებების მართვა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში“

ხარჯთაღრიცხვა

N	უწყვეტი სამედიცინო განათლების მოკლევადიანი პროგრამის „ადგილობრივი ანესთეზიით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობებისა და სხვა გართულებების მართვა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში'' (სულ 2 დღე - 12 სატრენინგო საათი) **ხარჯთაღრიცხვა**				
	პარამეტრები			სამუშაო დატვირთვა (საათები)/ სწავლის საფასური და შრომის ანაზღაურება ლარში	
1	**სწავლის საფასური ერთ მსმენელზე** (ჯგუფში სულ 10-20 მსმენელი)			**350,00 ლარი**	
2	პროგრამის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება			**1 მსმენელის სწავლის საფასურის 15 %** (52,5 ლარი)	
	პროგრამის ტრენერების შრომის ანაზღაურება			**სატრენინგო საათი** (სამუშაო დატვირთვა)	**შრომის ანაზღაურება** 1 მსმენელის სწავლის საფასურიდან
3	ტრენერების **შრომის ანაზღაურება,** სულ **12** საკონტაქტო საათზე - **175,00 ლარი** (**1** მსმენელის სწავლის საფასურის **50 %)**	1	დენტალური ტკივილის პათოფიზიოლოგიური მექნიზმები; ადგილობრივი საანესთეზიო პრეპარატების ფარმაკოკინეტიკა; ადგილობრივ ანესთეზიაში გამოყენებული წამლის შემყვანი მოწყობილობების მახასიათებლები და გამოყენების წესები; საანესთეზიო პრეპარატების შემადგენლობა, ჯგუფები და მათი კლინიკო-ფარმაკოლოგიური თავისებურებები	4,5 საათი	65,63 ლარი
		2	ალერგია სტომატოლოგიურ პრაქტიკაში, გამომწვევი მიზეზები; ალერგიის დიაგნოსტიკა;	3 საათი	43,75 ლარი

			დიაგნოსტიკური სინჯები (ტესტები),სახეები. სადიაგნოსტიკო ღირებულებები სინჯების ცდომილება, გამომწვევი მიზეზები;		
		3	ადგილობრივი ანესთეზიის ზოგადი გართულებები: ჰემოდინამიკური და ფილტვის ფუნქციის მაჩვენებლების მონიტორინგი. ანაფილაქსიური შოკი - სიმპტომატიკა, გამომწვევი მიზეზები, განვითარების მექანიზმები და მისი მართვა; სასუნთქი გზების მექანიკური ობსტრუქცია - სიმპტომატიკა, გამომწვევი მიზეზები, განვითარების მექანიზმები და მისი მართვა; გულ-ფილტვის რეანიმაცია - დემონსტრირება მულაჟზე გულის არაპირდაპირი მასაჟი, ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია, დეფიბრილაცია, თითოეული მსმენელების მიერ გულ-ფილტვის რეანიმაციული ღონისძიების შესრულება	4,5 საათი	65,63 ლარი
4	პროგრამის კორდინატორის შრომის ანაზღაურება			1 მსმენელის სწავლის საფასურის 5 5% (17,5 ლარი)	
5	ასისტენტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრირება) შრომის ანაზღაურება			1 მსმენელის სწავლის საფასურის 5% (17,5 ლარი)	
	ასისტენტი (სამართლებრივი მხარდაჭერა-ასისტირება) შრომის ანაზღაურება			1 მსმენელის სწავლის საფასურის 5% (17,5 ლარი)	
	უნივერსიტეტის განვითარების ხარჯები			**1 მსმენელის სწავლის საფასურის** 20 % - 70 ლარი	